თასი “შახტიორმა” მოიგო

მოსკოვი. ვ.ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი. 9 აგვისტო.

“შახტიორი” (დონეცკი) – “დინამო” (თბილისი) 2:1 (1:0).

“შახტიორი”: ჩანოვი, ვარნავსკი, გორბუნოვი, სიმონოვი, პიანიხი, რუდაკოვი, როგოვსკი (მოროზოვი), სოკოლოვსკი (კრავჩენკო), სტარუხინი, ფედორენკო, საფონოვი (ლ. მალი).

“დინამო”: გაბელია, სულაქველიძე, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, დარასელია, ჭილაია, მინაშვილი (ჩელებაძე), თავაძე (გუცაევი), ყიფიანი, შენგელია.

მსაჯი: რ. იუშკა (ვილნიუსი).

გაფრთხილებული არიან სულაქველიძე, ჩანოვი.

თბილისელმა ფეხბურთელებმა ერთობ შენელებულ ტემპში, აუჩქარებლად დაიწყეს თამაში. მართალია, საერთო ტერიტორიული უპირატესობა მათს მხარეს იყო, მაგრამ შეტევას აკლდა სისწრაფე, მოულოდნელობა, რის გამოც დონეცკელები ახერხებდნენ დაცვის გაძლიერებას, ხელსაყრელ მომენტებში კი სახიფათოდ და სწრაფად უტევდნენ.

კარგა ხანს იგრძნობოდა დაძაბულობა, ნერვიულობა, რის გამოც პირველი 15 წუთის მანძილზე სახიფათო დარტყმები კარში არ ყოფილა.

24–ე წუთზე დინამოელთა კარში შორი მანძილიდან დაინიშნა საჯარიმო დარტყმა. მარჯვნიდან მოწოდებულ ბურთზე წამით დააყოვნა ახტომა ხინჩაგაშვილმა, რითაც კარგად ისარგებლა სტარუხინმა და თავით შორეულ კუთხეში გაგზავნა ბურთი – 1:0.

ამის შემდეგ დინამოელთათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა ტემპის მომატება მაქსიმუმამდე, სწრაფი მანევრები. გუნდს მიეცა კიდეც ამის რამდენიმე ხელსაყრელი შესაძლებლობა, მაგრამ იგი ვერ გამოიყენეს ჩივაძემ, მინაშვილმა, დარასელიამ. ტაიმის დასასრული “დინამოს” ხშირი იერიშებით აღინიშნა.

შესვენების შემდეგ თბილისელებმა მინდორზე გამოიყვანეს გუცაევი, რომელიც სწრაფად ჩაება იერიშებში, მაგრამ გადიოდა დრო, საპასუხო გოლი კი არ ჩანდა, ამასთან კვლავ ახორციელებდნენ სახიფათო კონტრშეტევებს სოკოლოვსკი, როგოვსკი, ვარნავსკი.

74–ე წუთზე ჭილაიას გადაცემის შემდეგ ხინჩაგაშვილს ჰქონდა ანგარიშის გათანაბრების რეალური შესაძლებლობა, მაგრამ მეკარე ჩანოვმა მოასწრო ბურთის აღება.

მიმდინარეობდა მე–80 წუთი, როცა გუცაევმა და ხინჩაგაშვილმა გაითამაშეს კომბინაცია, ამ უკანასკნელმა უკან გადააწოდა ჭილაიას და ძლიერი დარტყმის შედეგად ანგარიში გათანაბრდა – 1:1. გავიდა რამდენიმე წუთი და თბილისელთა კართან დაინიშნა კუთხური. მარცხენა მხრიდან მოწოდებულ ბურთზე დაცვის რიგებიდან ყველაზე სწრაფად გავიდა პიანიხი, რომლის მიერ თავით დარტყმული ბურთი თბილისელთა კარის ბადეში აღმოჩნდა – 2:1.

თბილისელები შეეცადნენ დარჩენილ მცირე დროში გამოესწორებინათ მდგომარეობა, მაგრამ “შახტიორმა” კარგად დაიცვა თავი, შეინარჩუნა ანგარიში და თავისი არსებობის ისტორიაში მესამედ მოიპოვა სსრ კავშირის თასი.

“ლელო”, 10 აგვისტო, 1980 წ.